წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N 18

ქ. წალკა; 10.07.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზვიად გელაძე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

დადგენილების პროექტი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ;

სხდომამ განიხილა:

სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის–ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები. დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 24 ივლისს საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*